





გინეთ, რამდენი წვალეა უნდა, რომ ყოველს ოჯახში შეუდგოს ღამის სათევადი ორ-ორი სალდათი. ახლა სხვა საქმე რამდენია.

როდის და მოიცალოს ოჯახისათვის. მაშ, რაქნას თუ ხალხი არა ძარცვოს. ამასვე მოსდევს საძაგელი გალოთება მამასახლისისა, ოჯახზედ გულის აცრუება. ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ცოდვა ედვას, ვინც მე პირველად მამასახლისად ამომირჩიაო, სთქვა თითქმის ტირილით ძველმა მამასახლისმა, როცა თავი დაანება მამასახლისობას. მაგრამ ახა სცადოს ვინმემ და შეკრებულობაში ხალხს გაუხსენოს მამასახლისის ჯამგირი დაუღნიშნოთო, თუ გაუჯოხავი გაუშვან!

ერთი ჩვენი უბედურობაც ისარის რომ კანცელარია არა გვაქვს. სოფლისათვის სულ არაფერი არა ღირს კანცელარიის გაკეთება. ჩვენში არის ერთი უზარმაზარი ძველი ყაზარმა. კომლზედ რომ თითო მანეთი მოკრიბონ, ექვს წელიწადს ერთ-ერთს ოთახს ამ შენობისა მშენებელად მოაწყობენ. იმედია ამ შენობასაც ხაზინა დაუთმობს, რადგანაც, სულ ერთია, ამ ორის წლის შემდეგ თუ არ მოუარეს, ამ შენობისა ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩება.

გ. ნ.—ძე.

31 დეკემბერს, 1895 წ.

### მიმთა საზოგადოებაში.

გუშინ-წინ კავკასიის ექიმთა საზოგადოებაში დანიშნული იყო კრება, რომელსაც სხვათა შორის უნდა განებილი მოხსენება კომისიისა ერთი ფრიად საინტერესო საგნის შესახებ. ამას წინადა საზოგადოებამ გადაწყვიტა სახალხო სამკურნალო ფურცელის გამოცემა, ქართულს, რუსულს და სომხურს ენაზე. გვემის შემუშავება და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა საზოგადოებამ მიანდა ცალკე კომისიის, რომელმაც თავისი მოხსენება წარმოუდგინა უკანასკნელ კრებას. კომისიის აზრით გაზეთი უნდა იბეჭდებოდეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე, თვეში ორჯერ, სივრცით 1—2 თაბახი. ფურცელი ედირება წლიურათ სამი მან. საგნად ექმნება გაავრცელოს ხალხში გლეხმენტარული ცოდნა მკურნალობისა, ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის შესახებ. ფურცელი შეიცავს აგრეთვე საბეითალო ცნობებს და სხვა-და-სხვა დარბებს. როგორც ხედავთ გაზეთი ფრიად საჭირო და სასარგებლო რამ იქნება ჩვენი უმეცარი ხალხისათვის.

კრებამ შეიწყნარა მოხსენება კომისიისა, თუმცა ზოგიერთი წინააღმდეგი იყო თვეში ორჯერ დაბეჭდვისა და 1200 მან. ხარჯისა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეიძლება ხალხი გულგრილად მოექცეს გაზეთს და ხარჯი ტყუილად მოგვივაო. სჯობს თვეში ერთხელ დაბეჭდოთო.

თავმჯდომარე ბ. პავლოვსკი და ბევრი სხვანი ამის წინააღმდეგს ამტკიცებდნენ, ჩვენ პირადად შევეუდგეთ ჩვენი ვალის ასრულებას და თუ შრომა არ დაგვიფასდა და გაზეთი მოისპო, სირცხვილი საზოგადოებისა იქნება და არა ჩვენიო.

როდესაც გაზეთის ქართულ განყოფილების რედაქტორებად აირჩიეს ბბ. ს. ვაწაძე და ი. ელიაშვილი, უკანასკნელმა დაახლოვებით შემდეგი წარმოსთქვა: „ღიდს მადლობას ვუცხადებ საზოგადოებას ამ პატივისცემისათვის, მაგრამ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ დღევანდელი არჩევა ქართულ განყოფილების რედაქტორებად სრულიად ეწინააღმდეგება წინა პროტოკოლში დასტამბულს აზრს ექიმის მამინოვისას, რომელსაც უთქვამს, რომ ქართველ

ექიმთა შორის არ მოიპოვებინა ცოდნენი თავისი ენისა და ამიტომ შეიძლება ქართულს ენაზე ფურცელის დაბეჭდვა ვერ მოხერხდესო. რომ თავიდან ავიცილოთ პროტოკოლების ასეთი ერთი-მეორის წინააღმდეგობა, ვთხოვთ ბ. მამინოვს აგვიხსნას, რა აზრი ჰქონდა მის სიტყვასაო.“

ბ. მამინოვმა მეტად აღელვებულმა უბასუხა, რომ მე არ მინდოდა არავისი შეურაცხყოფაო. მე მხოლოდ ესა ვსთქვი იმთა შესახებ, რომელნიც ამ საზოგადოებაში დაიარბიან და რომელთაც კარგად ვიცნობო. იმათ იმდენი საქმე აქვთ, რომ ვერ იკისრებენ ქართულ განყოფილების რედაქტორობასაო. ისინი აქ არ არიან, თორემ დაგისახებდნო.

თავმჯდომარე ბ. პავლოვსკი ჩვენი ბაასში და გამოაცხადა, რადგან ჩვენდა სასიამოვნოდ ქართულ ენაზედაც შეიძლება გაზეთის განყოფილების ბეჭდვა, უმჯობესია ამისე ლაპარაკი მოვსპოთო.

აღვნიშნავთ-რა სამეცნიერო საზოგადოების შეუფერებელს ინციდენტს, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ, რომ ექიმის მამინოვის განმარტება საკმარისი არ არის და ვერ ახსნის აღნიშნულ ინციდენტსა.

### განმეძიმებლის თაგ-გადასახალი (სასაცილოა, თუ გაიცინეთ)

ჩემი გამწერება. ბუსუსი ახლად აშლილი მქონდა და შელერებადის ჯერ ბევრი მიკლდა, პირველად რომ შევადე კარები მწერლობის წმიდა ტაძრისა და დარცხენილი, შემკრთალი, კურდღელსავით განაბული წარუდგეტი თვით მწერალთ-უხუცესს, თამბაქოს ბოლოში გახვეულს, კულის ოდენაკალით აღტურვულს და ცხვირზედ სათვალე-რა გესმით ბაასის დროს. კაცთა უფლებების ეშხა და ტრფიალმა იქამდე გაიტაცა ჩვენი ნაწაველი მანდილოსნები, რომ ერთს იმათგანაც აღარა სურს ქალობა და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ყველანი კაცებად გარდაიქცეოდნენ. მეკი, ღმერთს გეფიცებით, აქამომდე ვერ გამიგია, ქართველ კაცის ბედი და მდგომარეობა ისე რა შესაშური და სანატრელია, რომ ჩვენს ქალებს ვეღარ მოუსვენიათ, ჯობრში გვიდგანან და მარტო იმის ფიქრში არიან, რაც შეიძლება კაცურად ჩაიციან, კაცურად მოიქცენ, კაცები დაუძახონ ერთმანეთს და ქალობაზედ-კი ხელი აიღონ!.. რასაკვირველია, ადვილად გასაგები და მისახვედრია, თუ რამ გამოიწვია ჩვენს ცხოვრებაში ქალთა ასეთი განკაცების სურვილი. ამის გამოკვლევა აქ უადვილოა და არც ჩვენ გვაქვს აზრად ამ საგანზედ მასლათი. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ქართულს საგანსაზღვრად განკაცებას, როგორც ნიშნებით სჩანს, ცუდი დრო უდგება და იქნება ბოლოც მალე მოვლოს. წაიკითხავდით, უეჭველია, ბარბარე სულხანიშვილის ფრიად საყურადღებო წერილს „ქალთა ამხანაგობა თელავში“, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიში“ (1895 წ. № 255). პატროსანს სიტყვას გაძლევთ თავებდა, რომ კაი ხანია ქართულს ენაზედ არა წამიკითხავს-რა ისეთის სიამოვნებით, როგორც ეს წერილი წავიკითხე. ცხადი და აშკარაა, „ქალთა ამხანაგობას თელავ-

შესკუბებულს. — ქართული წერა-კითხვა კარგად გცოდნიათო, დაიწყეთ პირდაპირ, უსალამ ქალამოდ, იმ დიდებულმა კაცმა, რომელიც ჩემს ყმაწვილურს ოცნებაში ყოველთვის სხვა-მოფენილი და შარავანდელ-შემოვლებული წარმომიდგებოდა ხოლმე: მიქქს თქვენი თავი. „ღელა-ენა“ გათავებული გაქვთ?

— დიად, „ბუნების კარიც“, და ცისკარიც ბევრი მიკითხავს.

— წერით, გიწერით რამე?

— როგორ არა. ერთხელ ბებიაჩემს ისეთი გრძელი წერილი მივწერე და ისე დაწვრილებით ავუწერე ჩვენი შინაური ყოფა-ცხოვრება, რომ ექვს თვეს კითხულობდა ცხონებული და მაინც ისე მიიცივალა, რომ ბოლომდე ვერ ჩაიკითხა.

— ძალიან „კარგი. ამიყვანინებო ჩემს თანამშრომლად. თვეში გინიშნავთ ცხრა მანეთსა და სამს აბაზს. თუ ნიჭი შეგატყვთ, თუმცა შეგისრულდებოდა, ადევნეთ თვალ-ყური ჩვენს ცხოვრებას და იმისი ავი და კარგი აღნიშნეთ. სწერეთ ყველაფერზედ: პოლიტიკა, თეატრი და მუსიკა\*), ბიბლიოგრაფია, ისტორიული წერილები, რომანები, ლექსები, მოთხრობები, მეთაურები, ფელეტონები. ეცადეთ, რომ თქვენს ნაწერს ფხა ჰქონდეს და პილიპო-მოყრილი იყოს, რომ გულსა მშუშხავდეს, — ჩვენში უამისოდ არა კითხულობენ. გაპკარით, გამოპკარით, გაპკინწ-გამოპკინწლეთ და ნურც ნურავის აწყენებთ. გალანძლეთ ვინც გინდათ — ლანძღვას უფრო გასაფალი აქვს და ბევრი მკითხველი ჰყავს, — მაგრამ ისე-კი, რომ

\*) მუსიკის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ სტორის დავრეცავი არ ვიცოდი და ჩემს სიტყვებში ზურნის მერტი სხვა არაფრის ხმა არ ვამეგნა.

ლანძღვაც იყოს და არც იყოს. დილის ექვს საათზედ მოხვალთ და ნაშუალამების ორ საათამდე გექმნებთ მარტო საქმე, მერე შეგიძლიანთ თავისუფლად ისერიოთ, წიგნები იკითხოთ და თვით-განვითარებისათვის იზრუნოთ... მესიამოვნა ჯამაგირიან ადგილს შოვნა. მომცეს კალამი ხელში, სტოლის ერთს კუთხეში მიმსვენს და წინ გაზეთები დამიყარეს, — სწერო.

ამ გვარად შევიქნენ ქართველი მწერალი.

### II

#### ზარეული წერილი.

რა დავწერო... მივიხედ-მოვიხედე, კალმის ბოლო წარბებს შუა მივიბჯინე და ჩავფიქრდი... მომაგონდა და სახე ღიმილმა გამინათა. დავიწყე წერა, სიტყვები ერთმანეთს მივაკოწიწე, ჩავათავე და ქვეშ ისეთი სახელი მოვაწერე, რომ, არამც თუ მე, ჩვენს გვარეულობაშიც არავისა ჰრქმევოდა. მწერალთ უხუცესს მივუტანე, წაიკითხა, მომიწონა, — კარგია, საზოგადო ვარამია, მაგას რუსულად „Обличение“ ჰქვია, ხოლო ქართულად — განქიქებაო.

ვწერდი, რომ თუ ქურდობა გავრცელდა ამ ბოლოს დროს, იმითა რომ პოლიციის მოხელეები თავთავის ადგილას არა დგანან, სასმელების დუქნებს ეტანებიან და ბურთი და მივდანი ქურდ-ბაცაცებს დარჩენიან-მეთქი.

დაიბეჭდა. მეორე დღეს, ვიდრე ლოგინიდან წამოვდებოდი, ცხრა-მეტჯერ გულ-დაღებით წავიკითხე ჩემი ნაწერი და თავ-მოწონებით ავიგვე: ცა ქულად აღარ მიმაჩნდა და დუნია — ქალამნად. ისე წელში გამართული და ამაყად თავ-აღერებული მივდიოდი რედაქციისაკენ, რომ ყენს თავს არ დაუკრავდი; ასე მეგონა, რაკი პაწია კალამი მიჭრის,

ლეობა და მოქმედება ქართველის ქალისა მაინც ოჯახზედ უნდა იყვეს მიქცეული. დროთა ბრუნვა ისეთია, რომ ოჯახში უნდა მოთავსდეს და დატრიალდეს ყოველივე ის, რაც ჩვენის ეროვნების და ვინაობის დამცველი და აღმადგენელია. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი სარბიელი მეტად ვიწრო და მკირე შეიქმნა. ქართველს, თუნდაც სურვილი რომ ჰქონდეს, ბევრჯერ ხელი ვერ მიუწვდება საზოგადო საქმეზედ, — ბატონობა და პატრონობა აღარ მოეპოება... ოჯახის მდგომარეობა სულ სხვა არის, — ღვთის წყალობით, ჯერ აქ ძალა მომრეობას ფეხი ვერ მოუკიდია და ოთხ კედელ შუა და ქვეშ ქვეშე-საძლოა თავისუფალი მოღვაწეობა. ქართველი ქალი პირველადვე ოჯახის გამგებელი ყოფილა და თუ ძველი ოჯახი საზოგადოების მტკიცე ბურჯს შეადგენდა, ეს უფრო ქალისა და არა კაცის მეოხებით იყო. ახლაც ქალმა უნდა იტვირთოს ოჯახის ხელ-მძღვანელობა და ოჯახი გარდაქმნას ისეთ დაწესებულებად, სადაც ჩვენი ვინაობა უნდა აღორძინდეს და ძღვევა-მოსილი შეიქმნეს...

საგულისხმო და საყურადღებოა, რომ თელავის ქალთა ამხანაგობასაც სამოღვაწეოდ ოჯახი ამოუჩვენია. ბევრს საემანსიპაციო განკაცების მიმდევარს არ ეუბნებებოდა ასეთი მიმართულება, — საოჯახო სარბიელი მეტად მოკლეა ჩვენთვისაო... გეცო-

## ფელეტონი

### მასლათი

„საშვიოდ, სალალოდო, ამხანაგთა სართევლად“  
რუსთველი.

ნაცნობ ქალებისაგან მოხსენება აღარა მაქვს, ამოდენ მასლათს ეწევი და აქამომდე-კი სიტყვაც არ დაგიძრავს ეგრედ წოდებულს საქალეზო საგანზედო. მართალი რომ მოგახსენოთ, სწორედ ღირსიც ვარ სამღერავისა. რა დროს დუმილი და სიჩუმეა, როდესაც სხვა-და-სხვა მანდილოსნო და სადაცო მოძღვრებას ჩვენში ასეთი ბევრი მუშტარი ჰყავს და ასეთი დიდი გასაფალი აქვს! წინადა ხომ ამგვარს მოძღვრებას უფრო მეტი მომზობლავი და მიმზიდველი ძალა ჰქონდა. მაშინ ქალთა „ემანსიპაციას“, ისრე ეტანებოდნენ, თითქო ბუზი თაფლსაო. იმ დროს ყველას მხოლოდ ეს მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვა — „ემანსიპაცია“ — ღა ეკერა პირზედ, ყველა ახალგაზდა თუ ხნიერი ქალი, რომელსაც განათლებით თავი მოჰქონდა, უეჭველად და მიუცილებლად ქადაგებდა კიდევ, რომ ქედოსანთა და მანდილოსანთა შორის განსხვავება უნდა მოისპოს, სრული თანასწორობა და თავისუფლება დაარსდეს და აწინდელი სათავილო იურიდიული დამოკიდებულება შეიცვალოსო. ჩვენდა სამწუხაროდ, რო-

გორც ბევრი სხვა რამ, ისრე საქალეზო მოძღვრებაც ჩვენს საზოგადოებას უფრო თავისის გარეგნობით და ზიზილ-პიპილებით მოეგლინა. ჩვენმა ნასწაველმა ქალებმა მოძღვრების აზრი და შინაარსი-კი არ შეითვისეს, არამედ ფორმასა და გარეგნობას გამოუდგინენ. ამ გასაზრდელებმა და ბედნიერად საყოფელებმა, რაკი ყური მოჰკრეს — ჩვენც კაცების უფლებება უნდა გვექონდესო, მაშინვე აიღეს და მშვენიერი კავები და ნაწნავები შეიკრიბეს, თითქო ეს სამკაული მეტი ბარგი ყოფილიყო, ლეჩაქი და თავსაკრავი მოიძრეს და ქუდები დაისკუპეს თავებზედ... იმ ეამად ემანსიპაციის მოძღვრებაც ქედსა და გაკრეპილ თმას ვერ გასცდა. მაგრამ ახლაც ხშირად შეხვდებით ასეთს გაქედოსანებულს მანდილოსანს: საუცხოვო სანახავია, როცა ეს „განკაცებული“ დიაცი მედიდურად დასცქერის ქართულად ჩაცმულს და თავდახურულს ქალა და თანაც ღიმილით გიჩვენებს, რომ განათლება და თავისუფლება მარტო იმის ტანთსაცემლის და თავსახურავის ქვეშ შეფარებულა! უფრო სასიამოვნოა, როცა ეს გაქედოსანებულნი გვამნი ბაასობენ საემანსიპაციო მოძღვრების კილოთი. იმათ ბაასში სიტყვა „ქალი“ სათავილო და საძრახისია და ამიტომაც სრულიად განდევნილია. „ოხ, რა კარგის გულისა და სათნოიანი გაცა ჩვენს მკარანე ქაანსროგანა, რა სამავალითო გაუგანე შეიქმნება იმის მშვენიერი ოლინკა...“ აი



სამთა მოკავშირე სახელმწიფოთა ყუმბარები, ზარბაზნები, მიტრალიერები და ჯავშნიანი ხომალდები ჯაბეში მიწყვია და ევროპის მშვიდობიანობა ჩემს ხელთ არის-მეთქი.

კარებს არ გამოვიცილებოდი კარგად, რომ ვილატამ კისერში დამტაცა ხელი, სამჯერ ჰაერში ამიქნა-დამიქნია, შემბლერტა, შემაქანქყარა და დასებულნი დამავლო დედამიწაზედ.

— როგორ გაბედო? მომესმა გონება-დ-ბნულს რიხიანი ხმა და შიშით თვალები ძლიერ შევანათე. თავზედ ჩვენი ქუჩის პოლიციის მოხელე „პროხორა“ მადგა, მისხანებით უღვაშები გარეულ ღორის ჯაგარივით აშლოდა, არყისაგან გაწითლებულს ცხვირს თვალების სიწითლეც დაჰმატებოდა და ხელი ხმალივით დაეჭინა: არა, როგორ გაბედე და დაწერე, ვითომ მე არაყსა ვსვამდე? მიპასუხე, როგორ გამიბედეთქი.

— მე-მეთქი... დავიწყე და თან ცხვირზედ მიფრებოდი, რომელმაც ეხლა ლავარდი ფერი მიიღო, თითქოს უნდა მიმოწმოს, რომ არა სტყუიო, — რაღაცა მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვიღრე გონებას მოვივრებდი, მკრა კინწი და სამი ქუჩა ისე გამატარა, რომ ვერა ვაგვიტრა: მივდიოდი, მივფრინავდი, თუ სხვას მივქონდი.

— აი, ეს გახლავთ, ბატონო, ის ვირისთავი, გახეთქილი რომ სჩხაბნის. თვით ბოქალის წინაშე ვიდექი და ვცახცახებდი.

ბოქალმა ბევრი მიბრაჯუნა ფეხები, მერე ამიღეს და „ხნელში“ მატუტეს თავი. ორს დღეს მშვიდმწყურვალნი მიმყოფეს, შემდეგ მკრეს პანდური და გამომავდეს.

შვიდი რედაქციაში და თან ფი-

დინებათ, რომ ამ დასის მოღვაწეებს ვრცელი და ფართო ასპარეზი ესურვებათ, სწორედ ისეთი, როგორიც მამა-კაცებს. მაგრამ ასეთს სურვილს ფრთები შეგვეცილი აქვს და რამდენად უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ ოჯახს მოჰმარებოდა ის, რაც საზოგადოებრივის ასპარეზის ოცნებად ჰქრება!.. გაქუდონებულ ქალებს არ მოეწონებათ ბევრი სხვა რამეც, რომელიც „ქალთა ამხანაგობას“ მოღვაწეობის საგნად დაუხანავს, მაგალითებრ, აი თუნდ ეს — ვეცადეთ ქალთა და კაცთა სამოსელის საქმე სასურველად შევცვლილიყვიესო... აბა ქუდებს როგორ დასთმობენ!.. ჩვენთვის ღირს შესანიშნავი კრდევისა, რომ ქალთა ახალი დასი (ამასაც მე-სამე დასი-კი არ დარქვან!), როგორც სწავლა, არ ეტრფილება და ეაშყება სამედიცინო განკაცების მოძღვრებას, ეს დასი მიხვედრია ნამდვილის ჟამთა სივრცის და ბოროტებას და ბრძოლის მოედანზედ გამოსვლა ამიტომაც მოუწადინა. წინადასე არ გახლდათ. მაშინ ეგონათ, რომ საქართველოც ამერიკა და ინგლისია და რასაც იქაურნი მანდილოსანი თხოვლობენ, ჩვენც ის უნდა მოვიტოვოთო. ქართველნი გაქუდონებულნი ქალნი ნამდვილს საეროვნო კვალს ასცდნენ; მტკიცე ნიადაგი დასტოვეს, სლოზს გზას დაადგინენ, უფრო ფანტაზიისა და ოცნების სფერას მიეცნენ და ამიტომ უფლებების შექმნისა და მოპოების დაღაღება დაიწყეს და აწმყო მოვალეობას-კი

ცი დავედ: ეს ერთი მიმიქარავს და ამა იქით მოხელეზედ, ვინც უნდა იყოს, კრინტსაც აღარ დავძრავ-მეთქი.

III

მეორე წერილი. ჩემი მეორე წერილი ქართულს წარმოადგენს შეხებოდა. არავინ მიცნობდა და არავის ვიცნობდი — თამამად ვწერდი. დასაწუნი დავიწუნე, მოსაწონს — ქება-დიდება შევასხი. ჩემს წერილს პსევდონიმად „დაბადებულგან“ ამოდებული სახელი მოვაწერე.

ჯერ ნომერი არ შემშრალიყო და ისევ სტამბის სუნი უდიოდა, რომ რედაქციაში, როცა მარტო ვიყავ, კარები შემოალო ვილაც ახანხმა და და ხმა-ამოუღებლად ჩემკენ წამოვიდა. ისეთი სქელი და გრძელი იყო, რომ საარაკო ცხრა-თავიანს მდევს მიემსგავსებოდა. წვერ-უღვაში და წარბები სადღაც დარჩნოდა, ხელში ტვის ოდენა კომბალი ეჭირა და იატაკს ისე ხელ-ლონიერადა სცემდა, რომ თავ-ხემა ზნეა დაიწყო და ფიცრები წამოპირქვავდა.

— ბ-ნო ნაბუქოდონოსო! შესძახა ბოხის ხმით ჩემმა უცნაურმა სტუმარმა: მე, ტრაგიკოს რეტიანიძეს, ნიქი მაქვს თუ არა?! მიპასუხეთ!..

შევეხდე, ისეთი საშინელი იყო, რომ შემზარა. მინდოდა დაბადებისა და ნათლობის მოწმობა მეჩვენებინა, რომ ნაბუქოდონოსო-რო-კი არა, ორბეტრე მქვიან-მეთქი, და ამითი დამეძვინა თავი საფრთხე-ღვან, მაგრამ ვინ დამაცადა.

— მიპასუხეთ-მეთქი, თორემ დავლევო აქაურობასაო! დამიყვირა და ისე ძლიერად დაჰკრა სტოლის თავისი კომბალი, რომ მენის ხმა გეგონებოდათ. მთელი ოთახი შეიძრა,

ჯეროვანი ყურადღება არ მიაკციეს, თუმცა ეს მოვალეობა უპირველესი საგანი უნდა ყოფილიყო. ქალიც კაციაო, „она — хороший человек“ —ო... კარგი და პატიოსანი, მაგრამ ყოველ კაცს, უფლებას გარეგანი უფლება და მოვალეობა განუყრელად არსებობენ. აბა გვიჩვენეთ, რა მოვალეობა გაიხადეს საგნად მოღვაწეობისა საემანსიპაციო განკაცების აღმსარებელთა? „ქალთა ამხანაგობა“, უფლებაზედ ერთს სიტყვა-საც არ ამბობს, ამ უფლების ზღუდეში კაცებს არ ქეიშვება და ეკამათება, მაღალ ფარდებში არ ფრინავს, ვრცელს სარბიელს არ ეპოტინება და მოვალეობად-კი უცნია ბევრი ისეთი საგანი და მოქმედება, რომელიც, მართლაც-და წამლად და მტლედ დაედება ჩვენს დაცემულს ოჯახსა. სწორედ ამაში მდგომარეობს ამხანაგობის ძალი და მნიშვნელობა-ცა. ჩვენის აზრით, საქალბო მოძღვრების მხრივ ეს დიდი და შესამჩნევი ნაბიჯია და ცხადად ამტკიცებს, რომ ამ მოძღვრებას საჩვენოს-კენ უბრუნია პირი...

რასაკვირველია, ამხანაგობის მოძღვრებაშიც თითო-ორიოლა წვრილი და მკირე შეცდომა მოიპოება. ასეთს შეცდომას შეადგენს მაგალითებრ, ის საშუალება, რომლითაც ვითომ შესაძლო იყოს ქორიკანაობის მოსპობა და ძირიანად აღმოფხვრა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ქორიკანაობა უაზრო და უსაგნო ცხოვრების ნაყო-

საწერ-კალამი ჰაერში ავარდა და აღარ დამინახავს, სტოლი კარებისაკენ წავიდა, თითქოს გაპარვას აპირებდა, მე ჩემის სკამით მეორე კუთხეში ამოვიყვიე თავი, მაგრამ ორივენი ისეთს მდგომარეობაში ვიყავით, რომ მე-კი არ ვიჯექი სკამზედ, სკამი იჯდა ჩემზედ.

წამოვიწიე და ბოდიშით მივმართე. მინდოდა დამემშვიდებინა.

— რას ბრძანებთ მეთქი, ვუთხარი: თუ თქვენ, მაგ სხეულის პატრონს, ნიქი არა გაქვთ, ვილას უნდა ჰქონდეს-მეთქი. მიუქარავს მაგის მთქმელსა და დამწერს. იმას კარგები უნდა ურტყას კაცმა მაგისთანა სისულელის დაწერისათვის-მეთქი.

ჩემი თავი მევე გავილანძღე, მაგრამ არც ამან მიშველა.

— ჰო-ლა მე ნამდვილად ვიცი, რომ ამ მიქარვის დამწერი შენა ხარ, შე მხეცო, შენაო!.. ისე დაიღრიალა ამ მართლაც-და მხეცმა, რომ ქერმა ქრიალი დაიწყო და მე შიშით გული წამივიდა...

როცა გონებაზედ მოვედი, ხელფეხი სრულიად დამტყრეული მქონდა, სახე დალურჯებული და ხუთი კბილიც სათვალავში დამაკლდა. რას გავაწყობდი იმის მეტს, რომ კვლავ აღთქმა დავდე: ეს ერთი მიქარე და ამას იქით ფრთხილად მოვიქცევი მეთქი.

IV

მესამე ალექსია.

დავიწყე მოთხრობების წერა. მერანზედ შევასკუბე ჩემი ოცნება და ხან იმერეთში ამოვავიფინე თავი, ხან გურჯენის ზღვის პირად. ჩემს გმირებს მევე ვუღვამდი სულს, მე ვნათლავდი, ცხოვრებას მე ვუთხზავდი და შიში არ მქონდა, რომ წამომედავებოდა ვინმე. იმ დაბა-სოფლისა და ქალაქის სახელებს, რომ-

ფია, უსაქმობისა და უქმად ყოფნის შედეგია და მის განსაღვნელად არასოდეს საქმეა არ იქნება ცარიელი მეცილინობა და სურვილი, როგორც ამხანაგობას ჰგონია. მაგრამ საქმე წვრილმანობაში როდია, საქმე მთავარი აზრია, გვემის საზოგადო ხსიანთია. ამ მხრით „ქალთა ამხანაგობას“ არა დაეწუხება-რა, არა ესაყვედურება-რა. საოჯახო ზნე-ჩვეულებების დაცვა, წესისა და რიგის აღდგენა, დედა-ენის აღორძინება, საოჯახო შემოსავლისა და გასავლის წესიერად მოწყობა, გონების განვითარება და ბევრი სხვა ამგვარი საგანი სწორედ რომ ოჯახს დიდად უშველის და წარმატების გზაზედ დაყენებს. ქალს, მეტადრე სწავლით შეიარაღებულს, ადვილად შეუძლია „იმოქმედოს ოჯახის ზნეობრივ, გონებრივ და ნივთიერად გამდიდრებისათვის“. აწინდელ დროს, როცა ქართველისათვის თვით-მოქმედების სარბიელი შევიწროვდა და შემცირდა, ოჯახი უნდა შეიქმნეს ყოველგვარ თაოსნობისა და საეროვნო მოღვაწეობის უმთავრეს ადგილად და ქალისათვის ეს საქმე უფრო მოსახერხებელია.

ძველი ოჯახი ნამდვილი სკოლა იყო და ამ სკოლაში ქართველი გონებრივ და ზნეობრივ იწვრთნებოდა. საზოგადო და საერთო სასწავლებელი, შედარებით, მკირედ მოიპოვებოდა და ეს იმიტომ რომ სწავლა-აღზღის საქმე უმეტესად ოჯახში სწარმოებდა. დრონი იცვალნენ და ახლა სწავლა თუმცა გამრავლდა და გავ-

ლებშიაც ჩემს გმირებს ვაჩენდი და ვაცხოვრებდი, ასოებით აღვნიშნავდი ხოლომე, რომ, სიფრთხილეს თავი არა სტყვიავ, მსგავსება არავინ დაინახოს-მეთქი.

სამიოდე კვირა მოსვენებული ვიყავ და მიხაროდა.

ერთს მშვენიერს დღეს, როდესაც რედაქციაში ვიჯექი და ბისმარკის ერთის კალმის მოსმით გაცამტვერებას ვაპირებდი, კარი გაიღო და ვილაც ჩინტ-კოპიანი მანდილოსანი შემოვიდა.

— შეილო, ვაზეთს აქა ბექდამენ?

— დიად, რა გნებავთ, დედი?

— დედა ღვთიშობელი გაგიწყრეთ და თან ვადაგატანოთ, აპაი არა, თქვე ლირფებო, თქვე უსირცხვილოებო, ეგ რა დაგიწერიათ, ვითომ ჩემს, ნასყიდას ცოლის ოსანას, ქალს კეკელას ნიშანი მისცეს, აკოცეს და აღარ შეირთეს, დანიშნულმა თავი დაანებო. უნამუსოდ გამოგყავთ ჩემი ქალი, თქვენ თითონ ნამუს-დაკარგულეებო?! ქა, გენაცვალეთ, ამისთანა ნაცილიც გავგონილა! ჩემი კეკელა ეხლა სამი ვაჟი-შვილის დედაც არის და ესენი-კი სწერენ, მეშუშე იოსებამ დანიშნა და თავი დაანებო!.. ხელების სავსავითა და ისეთის სხაპი-სხუპით დამაყარა ოსანამ, რომ ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარ.

— მოითმინეთ, დედი, იმ მოთხრობაში თქვენი გვარი ხომ არ არის მოხსენებული.

— რას მიედ-მოედებო? გვარი რას მიქვიან, ქვეყანამ იცის, რომ მე ოსანა მქვიან, ჩემს ქმარს — ნასყიდა და ჩემს ქალს — კეკელა. არა, თვისა რ ტომში თავი რად მომქვრით, პა?.. ეგ არის თქვენი ხელობა? აი, მეხი-კი დაგაყარეთ, კარგი საქმე თქვენ გიშოვნიათო... და ამ ჯმუხა დედაცაცა ორისავე

რცელად, მაგრამ სხვა მიმართულებას დაადგა, ხოლო ეს მიმართულება რა სანაყოფიერო და სასარგებლოა, ამას ყველა ჰხედავს... საქირაო, ოჯახი სკოლის მოვალეობას შეუდგეს და მრუდე მიმართულებას ქიშპობა გაუწიოს, როგორმე გასწოროს ეს მიმართულება. რასაკვირველია, ყოველად შეუძლებელია სავსებით აღსდგეს ძველი საოჯახო სკოლა, მაგრამ ამას არავინ ფიქრობს და არც საფიქრებელი და სანატრელია. ოჯახს სწავლა — აღზრდის საქმეში თავისი ნიშნობილი ადგილი უნდა ჰქონდეს და ამ ადგილს ეკამათითარება უჩვენებს. გარწმუნებთ, ისიც დიდი ბედნიერება და ღვთის წყალობა იქნებოდა, თუ თვითვე უფრო ოჯახში „დედა-ენას“ პატივითა და სიყვარულით მოექცეოდნენ... „ქალთა ამხანაგობას“ სწორედ შეუგნია ოჯახის ნივთიერი საქირებოც. ეს საქირებო მრავალნაირია და ამის გამო მარტო ქალს ვერ შეუძლიან ოჯახის ნივთიერად გამდიდრებისათვის იმოქმედოს. მაგრამ ოჯახის საერთო მოღვაწეობაში ბევრი ისეთი მოთხოვნილებაა, რომელიც ქალის საქმეს უნდა შეადგენდეს. სამწუხაროდ, ახლამ, საერთო ვითარებამ სრულიად მოსპო ძველებური ხელსაქმობა და საოჯახო მრეწველობა და ბაზარი უცხოეთის ნაწარმოებს გაუხსნა და დაუხანკურა. აღივავა და განქრა თითქმის ყოველგვარი დარდი ქართულის ხელსაქმობისა. აქა-იქ და ისიც იშვიათად

ხელით ისე მაგრად ჩამიფრჩუნა თავში, რომ ორი დღე დარეტიანებული დავდიოდი და თავი მიბუქოდა.

იმისი წასვლა იყო და ერთი უშველებელი ჩონჩხი კაცი შემოვიდა. თავით ფეხამდე შეიარაღებული იყო და სახუმაროდ არ გამოიცილებოდა.

— ვინაა ის დედა-გაგლეჯილი ვინცხაა, რომ ოუღლია თავი აბდალს და დოუწერია, რომეო ახნაურს ივლიანეს ცოლის შერთვა უნდოდა და ქალი არ მიცესო. სუნელი თუ იტყვის ამ ფერს ჩერჩეტობას!.. ჩემისთანა სასიძო მოეღს იმერეთში არაა და მაგი სიმკრუე რაგა დოუბექდეთ?

— ბატონო, განა თქვენს მეტი ახნაური ივლიანე არავინ არის? გვარად მოხსენებული ხომ არა ხართ და რად უნდა მიიღოთ თქვენს თავზედ. პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ეს ახნაური ივლიანე თქვენ არა ბრძანდებთ.

— იმე, მასხრობ თუ! ძალი არ შეტყამს ჩემს ძვალს, რომ მთელს გურიში ჩემის მეტი ახნაური ივლიანე არავინაა. სიმკრუეს რეიზა ბექდამთ?... — ბატონო...

— რა თავს იგდებ! გედირე თუ?... მთელი გურია დამცინის, ივლიანე საჯაყი საქმე დავმართნაო, და მაგენს რაგა შევითმენ. აწი, თუ კაცი ხარ, დაბექდე მაგ შენს ვაზეთში, რომე ახნაურს ივლიანე ლომიძეს ყველა ერხვეწება, ჩემი ქალი შეირთეო, მარა ივლიანე არ შობა და მისთანა ქალს ეძებს, რომე ლამაზიც იყოს, პანციონში ნამყოფიც და ფარაც ბევრი ქონდეს-თქვა.

— ეგ არ შეიძლება...

„არ შეიძლებაო“, იმიშვლა ხმალი კუჭ მოსულმა ივლიანემ და მიფ-

თუ შეხვდებით ჩვენს ქალების ხელთ-ნასაქმარს. ქალთა ამხანაგობას ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და ამიტომ ქება და დიდება მას! ძველის ხელ-საქმეობის აღდგენა დიდს შეღავათს მოუტანს ნივთიერად დაცემულს ოჯახს და, გარდა ამისა, შრომა ზნეობრივადაც გააუფლებს აწინდელ გულ-ხელ დაკრეფილ ქალთა მდგომარეობას. ჩვენ თითონ ვიცით რამდენიმე მაგალითი, რომ ქართულ მანდილოსანთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა წაიკითხეს ბარბარე სულხანიშვილის წერილი: ახლა-კი გვეშველა, მოსკოვის დამბალ ლეჩქებსა და არშიებს მოვიშორებთ და კახურს ვიხმართო...

დიად, ბატონებო, ოჯახის ზნეობრივ, გონებრივ და ქონებრივ გამდიდრება და წარმატება დიდი საქმეა და დიდის მადლობის ღირსნიც არიან კახელი ქალები, რომ საქმისათვის ხელი მოუკიდიათ. შეიძლება ამ საქმეს ბოროტება და მზაკრობა წინ აღუდგეს და სვლა მოუსპოს, მოსალოდნელია და საფიქრებელიც, რომ ამხანაგობა მოსპონ ან თითონ მოთხოვნილებაა, რომელიც ქალის საქმეს უნდა შეადგენდეს. სამწუხაროდ, ახლამ, საერთო ვითარებამ სრულიად მოსპო ძველებური ხელსაქმობა და საოჯახო მრეწველობა და ბაზარი უცხოეთის ნაწარმოებს გაუხსნა და დაუხანკურა. აღივავა და განქრა თითქმის ყოველგვარი დარდი ქართულის ხელსაქმობისა. აქა-იქ და ისიც იშვიათად

რინა. დამიწყო გინება, მაგრამ მაინც რომ ვერ დამიყოლია, ხმალი შემომიქნია და ცალი ყური წამათალა, როგორც მალქოზს ჰეტრე მოციქულმა.

ორი კვირა საავადმყოფოში ვიწე-ქი და როცა გამოვედი, ისევ ყბა-ახვეული დავდიოდი. ჩემი რედაქციაში მისვლა იყო და უწყება მომარჩე-ჩეს. სასამართლოში მიბარებდნენ. წავადი. როცა გამიხმეს, ვილაცა კა-ბიანი, დიდ-მუცლიანი კაცი ამეტუზა გვერდით. ჩქარ-ჩქარა ეწაფებოდა ცხვირით ბურუნთის კოლოფს და თან ჩემკენ გამოიბღვირებოდა.

— მიკიჩ ქელეხიანც, აბა რას იტყვი-თ? ჰკითხა მოსამართლემ.

— ვა, როგორ თუ რას ვიტყვი? ახარ, ამ ლუბუსტაცს დაუწერია გა-ზეთაში, რომ ვითომ მე, მიკიჩამ, მთელი სოფელი გავცარცვე, ვითომ რა ემეგბო... ოინები არ მიქნია, ქვე-ყანა დამიწოვებია, ქრისტეს ფეხის მომქმელი ვყოფილვარ... რა ვიცი კიდევ, არა ამ ტუტუსა ჰკითხეთ, მაშ დიდებულმა ხემწიფემ ეს ვექი-ლები რათ გამოსცა, თუ ფულიც არ გავსესხობთ... ამბობთ, თუ შენი გვა-რი არა სწერია გაზეთაშიო. უზურში იმ სოფელში ჩემის მეტი მიკიჩა არა-ვინ არის, სულ ტუტუსი ქართვე-ლი ცხოვრობს, და ბურუნთიც მარ-ტო მე ვწვივი.

სასამართლომ განიხილა საქმე და სამის კვირით დაპატიმრება გადაი-წყვიტა.

ვიჯექი ციხეში და ვფიქრობდი, რა ვუშველო ჩემს თავს-მეთქი. არც ჯამაგირიანი ადგილი მეთმობო-და და ამდენმა აურზაურმაც თავი მომაბეზრა. მინდოდა ამ აზღავე-ბულს მდინარეში ისეთი ფონი მე-პოვა, რომ მეორე ნაპირზედ მშრა-ლი და უფნებელი გავსულიყავ. ამ ფონსაც მივაგენი: გადავწყვიტე, იგა-გარაკების მეტს, ქვეყანა რომ ერთ-მანეთს ეცეს, აღარას დავწერ-მეთ-ქი, და ამ იმედით კვლავ რედაქცი-ას მივაშურე.

V

საერთო საძულადო.

ვწერდი იგავ-არაკებს. ოთხ-ფეხებ-ში ცხოველი არ დავტოვე და ფრთო-სანთა შორის ფრინველი, რომ არ ამეწერა, არ დამესურათებინა, ადა-მიანურად არ ამელაპარაკებინა. ვიყავ ჩემთვის მოსვენებული და აღარც-ქე-ტი მაშინებდა, არც ხმალი და არც სასამართლოს უწყება. ეს ფონი, მართლაც, კარგი იყო, მაგრამ... თურმე ერთს ადგილას არჩობდა... და დამარჩო კიდევ...

ერთხელ ოცამდე კაცი დამესხა თავს. პირიდან ცოფსა ჰყრიდნენ, თვალები სისხლით ავსებოდათ, ხელ-ში გახეთი ეჭირათ და მუქარითა და რისხვით ჰაერში იქნევდნენ. ერთი მიყვიროდა:

— ეგ ვირი მე ვარ და გაჩვენებს სერისაო!..

მეორე ეცილებოდა:

— არა, ვირი მე ვარ და მე უნდა გაუფსოვოდო!..

მესამე ამას აღარ აცლიდა და მუშტს მიქნევდა:

— მე დავამტკიცებ ჩემს ვირობა-საო!

თავი რედაქციას შევაფარე, თო-რემ ლუქმა-ლუქმა დამგლეჯდნენ. მეორე დღეს მწერალთ-უხუცესმა

დამიბარა და შუბლ-შერქმით მიო-ხრა:

— რაკი ამა-და-ამ პატივცემულს კაცებს თავიანთი თავი ვირებდა უც-ვნიათ, რედაქციაში ველარ დაგაყე-ნებო.

— მოითმინეთ, ბატონო - მეთქი, ვცდილობდი თავის გამართლებას: ჯერ ერთი, იმათ რა მიუგავთ ჩემს ვირს? მეორე: მე ერთი ვირი მყავს ჩემს ნაწერში მოხსენებული და არა იმდენი. ვანა თქვენვე არა ხართ დარწმუნებული, რომ მიზეზს ეძებენ და ჩემს ვირს განგებ აუტყვენს დავა-მეთქი?!

— რა გავწყობა, მაინც რაკი იმათ ვირებდა უცვნიათ თავი, მე რომ რე-დაქციაში დაგაყენო, ხალხი ამიჯან-ყდებოა...

გამომსტუმრეს უზენსიოდ და უმუნდროდ. მას შემდეგ დავდივარ ასე უბედურად. ჯამაგირიანი ადგი-ლიც დავკარგე და ქვეყანაც მოვი-ძულე. ახლოს აღარავინ მიმიკარა. უცხო მე მიჩვიეს და მწერალთ-უხუ-ცესიც იმას ამბობს, რომ სანდობი არ არის, თავისი გაუფრთხილებე-ლის წერით ქვეყანა მომამდურაო. ეს საქმე რომ არ დამმართებოდა, ჩემს ჯამაგირს იქნება თუმანდის აე-წია და გავკეთებულყავ კაცი. მე რაღას ვამბობ? რა მეთქმის?... დავ-დივარ უსაქმოდ, ყველასგან მოძუ-ლებული და თავ-შერტყენილი და ნუგეზად ის-ლა მაქვს, რომ მეც შე-ვმატე ჩემი წვლილი ქართულს ლი-ტერატურას: ერთი ყური და ხუთი კბილი....

ახ...

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ფ ი ა .

მოამბე № XII

არაფერი არ დაუშურებია რედაქ-ციას მისთვის, რომ უკანასკნელი ნო-მრები ეურნალისა, რაც შეიძლება სინტერესო ყოფილიყო. ჩვენი ჟუ-რნალ-გაზეთების უშინაარსობის მი-ზეზი რედაქციები-კი არ არიან, თვით ჩვენი სიბეზრეა რა ქნას რედაქციამ, თუ ვერ იშოვის რიგან ბელეტრისტს, რიგან პოლიტიკურსა და შინაურს მიმოხილველს, რიგანს პოეტს და რიგანს კრიტიკოსს. ფულები ვერც ერთს ამას ვერ შეიქმს. მართალია ჩვე-ნი რედაქციები, რომ მდარანი იყ-ვენენ, იმ ძალებს, რომელნიც სხვა სფერას აწყდებიან, თვითვე მოიხმარე-ბენ, მაგრამ რომელ რედაქციასა აქვს შეძლება ოთხს თუ ხუთს კაცს ჯამაგირი აძლიოს და ისეთი ჯამაგი-რი, რომელიც რიგანის ლიტერა-ტორის ცხოვრებას უზრუნველსა ჰყო-ფდეს. უდიდესი ჯამაგირი, რომელსაც ქართული რედაქცია იღებს, არის 80—100 მანეთადი და ესეც მხო-ლოდ ერთს თუ ეძლევა, დანარჩენთ-კი ისეთი ცოტა ჯამაგირი ეძლევათ, რომ სოფლის სასამართლო მწერა-ლიც არ დასთანხმდებოდა ასე ცო-ტაზედ. სულ რომ გადიდოთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთის ხელის მომწერი ათასს არ აღემატება. და ათასი თუ-მნით რა უნდა გაკეთდეს, ნახევარზედ მეტი გაზეთის ბეჭდვას უნდება, სამას ოთხას თუმანად-კი არც ერთის გაზე-თისა და ჟურნალის რიგანად წაყვა-ნა არ შეიძლება.

ამავე ნომერში დამთა ვრე-ბულია ბ-ნი ფაფლენიშვილი ილის მო-თხრობა „მოტყუებულები“. სათაუ-რიდამე მიხვდებით, რომ აქ ქალის მოტყუების ამბავია მოთხრობილი. მეტად ჩვეულებრივი, მეტად ცნობი-ლი ამბავია და ავტორს არავითარი ახალი არა შეუტანია-რა შიგ გარდა იმისა, რომ ქალი ხან გაგიყვება, ხან ისევ ჰკუზავდ მოდის, მერე კი-დეე გაგიყვება, მერე კიდევ დაქვიან-დება, სანამ სულს არ დაღვეს მო-ტყუებული ქალი ყაჩაღად გავარდ-ება და მოჰკლავს თავის გამათხსირე-ბელს და ნამუსის ამხდელს მაშინ, როცა საქარწილოდ მიდის ეტლში თავის ლამაზ საცოლოსთან. მოკლავს მისს საცოლოსაც. ჩვენს მწერლებს ჰგონიათ, რომ თუ არ გაგიყვება, არა სიკვდილით სე დრამატიზმით არა-ფრით გამოიხატება და ნიადაგ იმას სცდილობენ რამენაირად უცნაუ-რად და თავზარ დამცემად გამოხატონ დრამატიზმი ცხოვრებისა. ამ სურ-ვილის შედეგია მეტის-მეტი გადაჭარ-ბება, რომელიც მკითხველზედ სრუ-ლიად სხვა შაბებულებას ახდენს ხოლმე.

რამდენათაც მოსაწყენია ნიადაგ ერთისა და იმავე ამბის ერთნაირად აღწერა სხვა-და-სხვა მწერლებისგან, იმდენზედ და მეტად მოსაწყენია და გამაჯავრებელიც, როცა ავტორი ერთსა და იმავე ამბავს რამდენჯერ-მე მოგიოთხრობსთ.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი სტუდენტი, სულით მაღალი, გონება გაბრწყინებული, მაღალი აზრებით აღსავსე. ამ სტუდენტს ჰსურდა და კიდევაც შეეძლო სამშობლოსათვის მრავალი სარგებლობა მოეტანა. მაგ-რამ წყევულმა რუსეთის ცივმა ჰაერმა ფილტვები გაუფუჭა. სწავლა უნდა მიეღო, ჩამოდის სამშობლოში მისთ-ვის, რომ იქ დალიოს სული. ამ დროს მივა მისი მეგობრის და, რომელიც მას უყვარდა, მაგრამ რომე-ლიც მისი ვერ გახდა სხვა-და-სხვა გარემოებების მიზეზით, და მის წინა-შე სულს დაღვეს საბრალო სტუ-დენტი. აი შინაარსი ბ. დუტუ მეგ-რელის დიდი მოთხრობებისა, მართა-ლია სხვა-და-სხვა ვარიაციები, მაგ-

მიუხედელოდ ამისა მაინც ზემო-

დაცა ვსთქვით „მოამბის“ რედაქციამ შესძლო და უკანასკნელი კარგი ნო-მრები მოგვარდა. სულ უკანასკ-ნელს ნომერში კიდევ პირველი აღ-გოლი უნდა დავუთმოთ ბ. არაგვის-პირელის მოთხრობას. შინაარსად ავ-ტორს აუღია სალახის (საქონლის დამკვლელის) სულის მდგომარეობა, რომელსაც საცოდავი, დასაკლავად გამოხატებული საქონლის ტანჯვა ძი-ლშია-ც-კი მოსვენებას არ აძლევს. ბოლოს შობა დღეს მისი სიბრაღე-ლი დასაკლავ და უკვე დაკლულ სა-ქონლისადმი იქამდის მიდის, რომ საყდარში შევარდება და ღვთის წი-ნაშე ამ ცოდვას ინანიებს: მაგრამ სინანული ვერასა შეგლის და სინი-დისი ქენჯნის და მოსვენებას არ აძ-ლევს, ვინემ არაყით არ დათვრება და არ დაიფიწყებს ყოველივეს. მე მგონია აქ მეტად გადაჭარბებულია სალახის სულის ტანჯვა. როცა სიბ-რაღული პირუტყვთა და კაცთად-მი ერთნაირად იხატება, მაშინ ეს სიბრაღული ნორმალური გრძო-ბა-კი არ არის, ავადმყოფობაა.

ამავე ნომერში დამთა ვრე-ბულია ბ-ნი ფაფლენიშვილი ილის მო-თხრობა „მოტყუებულები“. სათაუ-რიდამე მიხვდებით, რომ აქ ქალის მოტყუების ამბავია მოთხრობილი. მეტად ჩვეულებრივი, მეტად ცნობი-ლი ამბავია და ავტორს არავითარი ახალი არა შეუტანია-რა შიგ გარდა იმისა, რომ ქალი ხან გაგიყვება, ხან ისევ ჰკუზავდ მოდის, მერე კი-დეე გაგიყვება, მერე კიდევ დაქვიან-დება, სანამ სულს არ დაღვეს მო-ტყუებული ქალი ყაჩაღად გავარდ-ება და მოჰკლავს თავის გამათხსირე-ბელს და ნამუსის ამხდელს მაშინ, როცა საქარწილოდ მიდის ეტლში თავის ლამაზ საცოლოსთან. მოკლავს მისს საცოლოსაც. ჩვენს მწერლებს ჰგონიათ, რომ თუ არ გაგიყვება, არა სიკვდილით სე დრამატიზმით არა-ფრით გამოიხატება და ნიადაგ იმას სცდილობენ რამენაირად უცნაუ-რად და თავზარ დამცემად გამოხატონ დრამატიზმი ცხოვრებისა. ამ სურ-ვილის შედეგია მეტის-მეტი გადაჭარ-ბება, რომელიც მკითხველზედ სრუ-ლიად სხვა შაბებულებას ახდენს ხოლმე.

რამდენათაც მოსაწყენია ნიადაგ ერთისა და იმავე ამბის ერთნაირად აღწერა სხვა-და-სხვა მწერლებისგან, იმდენზედ და მეტად მოსაწყენია და გამაჯავრებელიც, როცა ავტორი ერთსა და იმავე ამბავს რამდენჯერ-მე მოგიოთხრობსთ.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი სტუდენტი, სულით მაღალი, გონება გაბრწყინებული, მაღალი აზრებით აღსავსე. ამ სტუდენტს ჰსურდა და კიდევაც შეეძლო სამშობლოსათვის მრავალი სარგებლობა მოეტანა. მაგ-რამ წყევულმა რუსეთის ცივმა ჰაერმა ფილტვები გაუფუჭა. სწავლა უნდა მიეღო, ჩამოდის სამშობლოში მისთ-ვის, რომ იქ დალიოს სული. ამ დროს მივა მისი მეგობრის და, რომელიც მას უყვარდა, მაგრამ რომე-ლიც მისი ვერ გახდა სხვა-და-სხვა გარემოებების მიზეზით, და მის წინა-შე სულს დაღვეს საბრალო სტუ-დენტი. აი შინაარსი ბ. დუტუ მეგ-რელის დიდი მოთხრობებისა, მართა-ლია სხვა-და-სხვა ვარიაციები, მაგ-

რამ ერთი და იგივე ტემა-კი არის. ეს საწყალი სტუდენტი რამდენჯერ გამოესალმა წუთი-სოფელს დუტუს ხელში, რამდენჯერ ისევ გაცოცხლო-და მისთვის, რომ ავტორისათვის და-ეწერიანებინა რომელიმე ლექსი და ან მოთხრობა. დღესაც ეს სტუდენ-ტი „საშინელს ქარიშხალს“ გადარ-ჩენია და „დაკარგულ იმედში“ ისევ მოგვეჩვენა. ტემა კარგია, მაგრამ უბედურება ის არის, გარდა იმისა, რომ ყოველთვის ერთი და იგივე მოსაწყენარია, მეტად სუსტად შე-მუშავებულია ბ. დუტუს მოთხრობა. მას აუღია ბევრისაგან ცნობილი ამ-ბავი და დაუწერია ისე, რომ არა-ვითარი თავის წვლილი, გარდა მელ-ნისა და ქალაღლისა და ერთი აყვა-ვებული ატმის შტოისა, ირა შეუტა-ნია რა შიგ. ყოველივე ძლიერი ადგილი, რომელსაც ყურადღებას მიაქცევდა ყოველი მწერალი, და მკითხველიც გაფაციცებული ელის აცა, როგორ ავციწეროს ეს ადგი-ლიო, — მას სულ გამოუშვია მოთ-ხრობიდან. მაგალითად სულის მდგო-მარეობა ამხანაგებისა, როცა გემი ნა-პირს შორდება, ისეთი ძლიერი ადგი-ლია და მომხიბვლელი მწერლისთვის, რომ გვიკვირს რად აურიდა გვერდი მწერალმა. სუსტად არის აწერილი ცე-ცხლის გემის წასასვლელად მზადე-ბაცა. ერთი ადგილია ხეირიანი, ეს ავადმყოფი სტუდენტისაგან ატმის შტოს აღერსი.

მიკვირს რაზა, გონია ჩვენს მწერ-ლებს, რომ ქართველ სტუდენტს არაფერი აწუხებს ფილტვების ავად-მყოფობის მეტი. რად ვერ გაიგო-ნეს, რომ მათი სულიერი ტანჯვა იმდენზედ დიდია, რომ ყოველივე ფიზიკური ტანჯვა გავიწყდება კაცს მასთან შედარებით და რატომ არ მიჰყოფენ ხელს ამ სულის ტანჯვის გამოსახვას. სიამოვნებით წავიკითხეთ ბ. სახოკიას მოგონება ეგ. ნინოშვი-ლის შესახებ. ეს მოგონებები ანუ როგორც ფრანგები უწოდებენ მე-მუარები, ეხლა ძალიან მოდაშია და დიდად სინტერესოც არის ამა თუ იმ მწერლის შინაგანი ცხოვრების გასაგებად. ამგვარი მემუარები დიდს განძს შეადგენენ ისტორიისა და ლიტერატურისათვის. ჩვენში რო-გორც მასხოვს ძალიან იშვიათად თუ ვინმეს ხელი მიუყვია ასეთის შრომისათვის და სასურველია ბ. სახოკიას მრავალი მიმხმძველი გამო-უნდეს. მხოლოდ ვერ დავმალავთ, რომ ბევრში სუსტია ეს მოგონება. პირველი ის, რომ როცა რომელსამე ცნობილ პირს ახასიათებ და ამბობ ისეთი იყო ან ასეთიო, უთუოდ ამის დამამტკიცებელი საბუთიც უნდა წარმადგინო, მაგ. ბ. სახოკია ამ-ბობს 125 გვ. «თავისის მოსიყვარუ-ლე გულის წყალობით, ეგნატემ ძალიან მალე იცოდა დაახლოვება კაცისა, დამეგობრება. თუ თვალში მოუვიდოდით, გადავიშლიდათ მთელს თავისს გულს და შიგ ჩავახედებდით. მაგრამ სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო მიზეზი კმაროდა, იმავ ეგნატეს მთელი თვისი მეგობრობა და სიყვარული ეგმო ერთის წუთის განმავლობაში და მოსისხლე მტერი-ვით გადავიკვებოდათ. ის აღმიანი, რომელიც მისთვის გენიოსიც იყო, ყოველისავე პატიოსნებით აღსავსეც,

ნიჭითა და მხნეობითაც შემკობილი, მეორე წუთის ილიოტიც გახდებოდა, უპატიოსნო, უნიჭოც, ნაცარ-ქექი-აც, ერთის სიტყვით ადამიანის ყო-ველ-ღირსების მოკლებულ კაცად გადაიქცეოდა; რა-კი ერთი ავითვალ-წუხებდათ, თქვენნი სიძულვილი მა-ნიად გადაქცეობა. ჯაშუშად თქვენ გახდებოდით, მუხანათიც. მზად იყო უკანასკნელს ღონესავით მიემართა — მოეკალით. „სახაგელი არ უნდა არ-სებობდეს დედამიწის ზურგზედაო“. საბუთი?... ბ. სახოკიას არ მოჰყავს და ძალიან შეცდომაში მოსდის. უნ-და ვენდოთ სიტყვებზედ, მაგრამ მეო-რემ, რომ სულ სხვა დავიწეროს იმასაც ხომ უნდა ვენდოთ?

მერე უნდა ბიოგრაფმა ეცადოს ისეთი არა მეიტანოს რა, ბიოგრა-ფიაშიაც რაც დიდ სინტერესოს არ შეადგენს არავისთვის, და ან გამოე-რება იქნება ერთი და იმავესი. მაგ. ბ-ნინოშვილის წერილები სხვა-და-სხვა უსიამოვნებაზედ და მეურმეებ-თან კვიტანციების შესახებ მეტის-მე-ტად დაწერილებულად არის მოყვა-ნილი და რამდენჯერმე.

ყოველს შემთხვევაში ეს მოგონე-ბა ბევრს გვამცნებს მრავალ ტანჯუ-ლის მწერლის ცხოვრების შესახებ. ამავე ნომერში დამთავრებულია ბ. სახოკიას თარგმანი „განთიადი ამის შესახებ-კი შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ბ. სა—ლი თავისს წერილში „კე-რძო თაოსნობა და ქალები“ ძალიან მედგრად, თუმც სრულიად სამართ-ლიანად მოკვიდა ქალებს. რასაკვირ-ველია, ქალები დიდ აყალბაყალს ასტეხენ, მაგრამ ყველაზედ უკეთესი იქნება აყალბაყალს თავი დაანებონ და ცხოვრებისთვის სხვა გზა აირ-ჩიონ.

ს ა ლ ა მ ო ს დ ე ჯ ე ზ ა

5 იანვარი.

პ მ ბ რ ა შ რ ბ ი . 4 იანვარს ქადრა-კის თამაშობაში სტენიციმა პილს-ბერს მოუგო; ლასკერისა და ჩიგო-რინის პარტია გაყაიდა.

პ რ ი ს ი . დღეს აქ ფარულად ჩა-მოვიდა პრინცი კობურგისა ფერდი-ნანდი. მისი აქ ჩამოსვლა მისის სახ-ლობის საქმეებით არის უთუოდ გა-მოწვეული, რომელთაც ბულგარიის საქმეებთან აქვთ კავშირი. პრინცი პარისში 8 დღეს დარჩება.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა და ინგლისს შორის სიამას შესახებ პირობის წერილზე გუშინ იქმნა ხელი მოწერილი. ამით სამუდამოდ გამოირკვა ყველა ის კი-თხვეტი, რომლებიც-კი ავერ უკვე რამდენიმე წელიწადია ორთავ სახე-ლმწიფოთ მძიმე ტვირთად აწვიათ.

ლ ო ნ დ ო ნ ი . ხაზინის პირველმა ლორდმა მინჩესტერში წარმოსთქვა სიტყვა, მან სთქვა, რომ ინგლისის მთავრობა, მიუხედავად იმისა რომ კარგი დამოკიდებულება აქვს ტრან-სვალთან, მაინც ვერ დაიჯერებს, თუ ამ მხარეში წესიერება დამყარ-დება, ვიდრე უცხოელთ არ მიეცე-მათ უფლება მართვა-გამგეობისაო. მაგრამ ბალჭური სრულიად დარწ-მუნებულია, რომ კონსტიტუციის რეფორმა უთუოდ გაყვანილ იქმნება დაუყოვნებლივ. ექვი არავის არა აქვს, რომ ინგლისი ტრანსვალის გარეშე დამოკიდებულებას თვალ-ყურს ადევნებს და არც თუ ვისმე ნებას მისცემს მისს საქმეში ჩაერი-ოს. ხოლო რაც შეეხება ინგლის-ვენესუელას საზღვარს, ბალჭურს იმე-დი აქვს საქმე მეგობრულად დამო-ლოცვებაში თუმცა ინგლისი ასე არა-სოდეს მომზადებულია ომისათვის, როგორც ამ ეჟამად.